<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---სექტემბერი 2019 წელი

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ანდრია გუგუშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ანდრია გუგუშვილის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) სამგორის რაიონში, ანდრია გუგუშვილის ქუჩასთან არსებულ უსახელო შესახვევს მიენიჭოს ანდრია გუგუშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

X=492758 Y=4614336
ანდრია გუგუშვილის I შეს.
X=492763 Y=4614034
1:2,500

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

04-031921 1117-03

KA011759454415419

მისამართი: თბილისი 0114 სანაპიროს ქ. #2; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

267074

30 / ივლისი / 2019 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული გეოგრაფიული ობიექტების ნუმერაცია დაევალა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს - (საქართველოს კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ" მე-3, მე-2, „ე" ქვეპუნქტი). აღნიშნული სამართლებრივი ნორმა კანონიერ ძალაში შევიდა 2016 წლის 1 სექტემბრიდან.

2019 წლის 24 ივლისს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შემოსულია ნუგზარ გორგოძის (პ/ნ:01019031675) NM19013387 და NM19013385 განცხადებები, რომლებითაც მოთხოვნილია შენობა-ნაგებობების ნუმერაციის წარმოშობის რეგისტრაცია შემდეგ უძრავ ნივთებზე მისამართით: ქალაქი თბილისი, აფრიკის მებაღეობის დასახლების მიმდებარე, საკადასტრო კოდით: N01.19.23.002.350 და ქალაქი თბილისი, აფრიკის მებაღეობის დასახლების მიმდებარე, საკადასტრო კოდით: N01.19.23.002.351.

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული მონაცემების მიხედვით, ვერ ხერხდება აღნიშნული უძრავი ნივთების მიმდებარედ არსებული ქუჩის დასახელების იდენტიფიკაცია. გთხოვთ, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში შემჭიდროვებულ ვადებში გვაცნობოთ ჩვენს მიერ სიტუაციურ ნახაზზე მითითებული უძრავი ნივთების მიმდებარედ არსებული ქუჩის ამჟამინდელი სახელწოდება და მოგვაწოდოთ ინფორმაცია აღნიშნული ქუჩის გავრცელების არეალის შესახებ (დასაწყისი და დასასრული), სიტუაციურ ნახაზებთან ერთად, ხოლო ქუჩის სახელწოდების არარსებობის შემთხვევაში, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.ე." ქვეპუნქტის საფუძველზე განახორციელოთ აღნიშნული ქუჩის სახელდება.

დანართი: 2 გვერდი.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სამისამართო სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი ტაბატაძე

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

სიტუაციური ნახაზი

N

ბანცხადების ნომერი M19013385; M19013387
მოთხოვნადების თარიღი: 30.07.2019



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

სიტუაციური ნახაზი

N

ბანცხადების ნომერი M19013385; M19013387
მიმოსვლების თარიღი: 30.07.2019



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: 03-031922541
თარიღი: 13/08/2019
პინი: 5074

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ 7ა

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსს
ბატონ გიორგი ებანოიძეს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი ტაბატაძის 2019 წლის 30 ივლისის საქმე #04-0319211117-03 დაკავშირებით, რომლითაც მოქალაქე ნუგზარ გორგოძის N M19013387 და N M19013385 განცხადებების საფუძველზე ითხოვს ე.წ. აფრიკის დასახლებაში უსახელო გეოგრაფიული ობიექტების სახელდებას (ს.კ.01.19.23.002.350), (ს.კ.01.199.23.002.351).
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტების მდებარეობა და მათ მიმდებარედ სახელდებული ქუჩები.
მოგმართავთ თხოვნით, ნახაზი მოამზადოთ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული ნახაზის შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) გვერდი.

თინათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: 67-01192412244
თარიღი: 29/08/2019
პინი: 1695

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს

ქ-ნ თინათინ ნიბლოშვილს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო თინათინ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 13.08.2019 წლის #03-031922541 (13.08.2019წ. #14-01192251951-67) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, ჩიხების, შესახვევებისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი